სახელი: ბარბარე

გვარი: დანელია

ასაკი: 14 წლის

სკოლის დასახელება: ნ. ნიკოლაძის სახელობის ქ. ფოთის N2 საჯარო სკოლა

კლასი: VIII გ

„წერილი ევროპელ თანატოლს --- დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“

მოგესალმები, ჩემო მეგობარო! როგორ ხარ? იმედი მაქვს კარგად.

დღეს მინდა ჩემი ქვეყნის, საქართველოს შესახებ გიამბო, მინდა გითხრა, თუ რამდენად უჭირდა მას ფეხზე მტკიცედ დგომა, თუ რაოდენ რთული იყო მისთვის, ყოფილიყო ,, თავისუფალი“.

საქართველო-- ეს ერთი პატარა ქვეყანაა ევროპისა და აზიის საზღვარზე, მართალია პატარა, თუმცა თავისი ღირსშესანიშნაობებით, ბუნებით, ანბანით და თავისი ხალხის პატრიოტიზმით მთელ მსოფლიოშია განთქმული. ამ პატარა სახელმწიფოს სამი სახის დამწერლობა, რვა ათასწლოვანი ღვინის კულტურა და სამი ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა აქვს. თუმცა შენ ვერც კი წარმოიდგენ ყველაზე მთავარს, თუ რამდენი ბრძოლა გადაიტანა ამ პატარა სახელმწიფომ არსებობისთვის, რამდენი ქართველის სისხლი დაიღვარა იმ მიწაზე, რომელზეც ახლა მე ვდგავარ, რამდენი პატრიოტი ქართველი შეეწირა სამშობლოს. მთელი ისტორიის მანძილზე არასოდეს გყოლია მეზობელი ფარიანი, ყველას ისარი და ხმალი ჰქონდა მოღერებული ჩვენს სამტროდ. სპარსნი თუ ბიზანტიელნი, თურქნი თუ არაბნი, მონღოლნი თუ ჩრდილო კავკასიელი ველური ტომები მოსვენებას არ აძლევდნენ ქართველ ხალხს. მას ყველა მხრიდან გლეჯდნენ, ანაკუწებდნენ და შუაზე იყოფდნენ. მტრის მიერ დამონებულ, ყველანაირი იმედ დაკარგულ საქართველოს ერთი რომელიღაც ქვეყანა დახმარების ხელს გამოუწვდიდა, დაიხსნიდა მტრის კლანჭებიდან, თუმცა ახლა თავის კლანჭებში მოაქცევდა. არ ვიცი რომელი მაგალითი მოვიყვანო. თუნდაც თავიდან დავიწყოთ, ძვ.წ. I საუკუნეში რომაელების შემოსევები, თუმცა ამ დროს ქართლის სამეფო არსებობდა და არა საქართველო. შემდეგ სპარსელები მეფე ვახტანგ გორგასლის დროს, VII საუკუნეში კი საქართველო არაბებმა დაიპყრეს, ქართველები ცდილობდნენ მის კლანჭებს გამოქცეოდნენ, თუმცა ამაოდ, არაბები თბილისს თბილისის საამიროს უწოდებდნენ, რადგან იქ ამირა დააყენეს. VIII საუკუნეში არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ საქართველო ნაკუწ-ნაკუწ დაიშალა, დაიყო. ქართული სახელმწიფოები ჩამოყალიბდა: ტაო-კლარჯეთი, კახეთი, აფხაზეთი, ჰერეთი და თბილისის საამირო, თუმცა აი გამოანათა საქართველოშიც, X-XI საუკუნეში საქართველო გაერთიანდა და გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III გახდა, ამის შემდეგ ისევ იწყება საქართველოს დასუსტების ეპოქა, შემოდიან თურქ-სელჩუკები და მის აოხრებას ცდილობენ, თუმცა საქართველოს ყველაზე დიდი მეფე დავით IV აღმაშენებელი დაამარცხებს მათ. 1921 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლა გაიმართება, რომელშიც მეფე დავითი დაამარცხებს მუსლიმთა ჯარს, ის აღაშენებს საქართველოს

და იმ დროისთვის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ აქცევს. შემდეგ თამარ მეფის ეპოქა იწყება, საქართველოს ოქროს ხანა“, ალბათ ახლა, როცა ეს წინადადება წაიკითხე, გაგიხარდა მეგობარო, იფიქრე, რომ საქართველო გაძლიერდა და გახდა თავისუფალი, თუმცა არა, ასე არ მოხდა, სწორედ ამის შემდეგ შემოესიენ საქართველოს მონღოლები და ააოხრეს ის, ქართველებმა დიდი ძალისხმევის და წვალების შემდეგ შეძლეს მათი შეჩერება და დაიწყეს დანგრეული სახელმწიფოს აღდგენა, მაგრამ სამწუხაროდ იმავე საუკუნის ბოლოს თემურ ლენგის რვაგზის შემოსევამ საქართველო მიწასთან გაასწორა და გაერთიანებული სახელმწიფო დაიშალა სამეფო-სამთავროებად. 1955 წელს საქართველო ირანმა და ოსმალეთმა შუაზე გაიყვეს, ამას მოყვა შაჰ-აბასის ზედიზედ 4 ლაშქრობა საქართველოში და მისი აოხრება, მიწასთან გასწორება. ამის შემდეგაც იყო ბევრი წელიწადი, როცა საქართველოს აოხრებდნენ, კიდევ ბევრი შემოსევა იყო, თუმცა მათ შესახებ მეტს აღარ გიამბობ, პირდაპირ რუსეთზე, საბჭოთა კავშირზე გადავალ. 1801 წლიდან 1917 წლამდე საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც საქართველოც შედიოდა. 1991 წლის 26 მაისს დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია.

ჩემო მეგობარო, შევეცადე შენთვის თავი არ მომებეზრებინა და ძალიან მოკლედ გიამბე საქართველოს ისტორია. 1991 წლის 26 მაისი თითოეული ქართველისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღია, რადგან მას შემდეგ ვართ ჩვენ დამოუკიდებლები, თავისუფლები. თუმცა კვლავ გვაქვს გულის რაღაც მონაკვეთები მოგლეჯილი, ეს არის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ჩემთვის ეს თემა, რომელზეც ახალ შენ გიამბე ძალიან მტკივნეულია, ყოველ ჯერზე, როცა საქართველოს ისტორიას ვიხსენებ, თვალზე ცრემლი მადგება, გული მტკივა, თუმცა მახარებს ის ფაქტი, რომ ამდენი ხნის შემდეგ მე შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ დღეს საქართველო არის ,,დამოუკიდებელი“.

ახლა დაგემშვიდობები, ჩემო მეგობარო, თავს არ მოგაწყენ, შენც მომწერე შენი ქვეყნის შესახებ, დაველოდები შენს წერილს, უბრალოდ მინდა იცოდე, რომ ჩვენ ერთად, ერთიანი ძალებით შევქმნით ევროპულ ქვეყანას, ევროპულ საქართველოს.